

ირინა უგრეხელიძე / Irina Ugrekhelidze<sup>1</sup>

(ქუთაისი, საქართველო / Kutaisi, Georgia)

## ქართველთა სამოსი უსხტელი ავტორების შავიზღვისპირა რეგიონში მოგზაურობის მოგონებებსა და ეტიუდებში

**აბსტრაქტი.** თანამედროვე ეტაპზე საზოგადოების წინაშე მწვავედ დგას კულტურულ ღირებულებათა შენარჩუნების საკითხი, რაც ქართველი ხალხის ხასიათის გამოვლინების ერთ-ერთ მხატვრულ-ესთეტიკურ ობიექტს, ისტორიულ კოსტიუმსაც ეხება. მიუხედავად იმისა, რომ ქართველთა ჩაცმულობა წარმოადგენს მრავალ სხვადასხვა მიმართულების მკვლევართა დაინტერესების ობიექტს, მისი სრულყოფილი ისტორია, საილუსტრაციო და მატერიალური მასალების არარსებობის გამო, ჯერ კიდევ არ არის დაწერილი. აქედან გამომდინარე, აქტუალურია ყველა იმ ინფორმაციული და ვიზუალური მასალის მოძიება, რომელიც ქართული ისტორიული და ტრადიციული კოსტიუმის შესწავლისთვის ხელშემწყობი მასალა იქნება. ქართული კოსტიუმის ისტორიის კვლევისთვის უცხოელ ავტორთა ჩანაწერების მნიშვნელობაზე ჯერ კიდევ დიდმა ქართველმა ისტორიკოსებმა – ივ. ჯავახიშვილმა და ს. ყაუხჩიშვილმა გაამახვილეს ყურადღება და დღემდე არ განელებულა ინტერესი უცხოენოვანი წყაროებისადმი. მიუხედავად ამისა, არსებობს ჯერ კიდევ შეუსწავლელი მასალები, რომელთა კვლევა, პუბლიკაცია და სამეცნიერო მიმოქცევაში ჩაშვება მნიშვნელოვანი სიახლე იქნება საკითხით დაინტერესებული წრეებისთვის. სწორედ ასეთი მასალების შემცველია იმ ევროპელ ავტორთა შთაბეჭდილებები, რომლებმაც XV-XIX საუკუნეებში, სხვადასხვა მიზნით იმოგზაურეს საქართველოს შავიზღვისპირა რეგიონებში. მათ მიერ აღწერილი ქართველთა ჩაცმულობის, ნატურიდან შესრულებული ეტიუდების, ეთნოგრაფიული ჩანახატების და საილუსტრაციო გრაფიურების ანალიზი შესაძლებლობას იძლევა, აღდგენილ იქნას ამა თუ იმ მოგზაურის თანადროული, დღეისთვის უცნობი სამოსისა და თავსაბურავის ფორმები, სილუეტი და კონსტრუქცია. რაც თავის მხრივ, ქართული კოსტიუმის ცვლილებისა და განვითარების დადგენის საშუალებაც იქნება.

**საკვანძო სიტყვები:** ქართველთა სამოსი; კოსტიუმის ისტორია; ევროპელი მოგზაურები; ეთნოგრაფიული ჩანახატები; გრაფიურა.

<sup>1</sup> აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი / Associated Professor at Akaki Tsereteli State University,

**Georgian Clothing in the Memories and Etudes of Foreign Authors' Travels in the Black Sea region**

***Abstract:** At this time, the preservation of cultural values is a pressing concern for society, which also encompasses historical costume as one of the artistic-aesthetic objects best reflecting the Georgian people's character. Despite the fact that Georgian clothing has piqued the curiosity of historians from various fields, its whole history has yet to be recorded due to a paucity of illustrative and applicable materials. As a result, it's critical to gather as much information and visual material as possible to aid in the study of Georgian historical and traditional clothes. Iv. Javakhishvili and S. Kaukhchishvili, two outstanding Georgian historians, took notice, and interest in foreign language sources that has not waned ever since. However, there are still unknown resources whose discovery, publishing, and release will be significant news for anyone interested in the subject. These materials comprise the impressions of European authors who visited Georgia's Black Sea regions in the 15th and 16th century for a variety of reasons. The restoration of contemporary uniforms and headscarves, silhouette and structure of this or that traveler, which are now unknown, is feasible thanks to the analysis of Georgian clothing, sketches drawn from nature, ethnographic sketches, and illustrative engravings provided by them. As a result, there will be an opportunity to assess the change and development of the Georgian costume.*

***Keywords:** Georgian clothes; History of the costume; European travelers; Ethnographic sketches; Engraving.*

\* \* \*

**შესავალი:** უცხოელ მოგზაურთა და მკვლევართა ჩანაწერები ძალზე ხშირად შეიცავს საინტერესო და ფასეულ ინფორმაციას ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა რეალიის, მათ შორის ქართული ჩაცმულობის შესახებაც. ასეთი ინფორმაცია, ისტორიული კოსტიუმის ნივთიერი ძეგლების არარსებობისა და საილუსტრაციო მასალების სიმცირის პირობებში, მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს ქართული სამოსის ევოლუციური პროცესის გააზრებისათვის. მასალების სიმწირე არცთუ უმნიშვნელო **პრობლემას** წარმოადგენს ქართული კოსტიუმის სრულყოფილი ისტორიის დადგენისთვის. მისი გადაჭრა აქტუალურია ჩვენი ერის კულტურულ ღირებულებათა შენარჩუნებისთვის, მით უფრო თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში. სწორედ აღნიშნული დანაკ-

ლისის შევსებას, კერძოდ, XV-XVIII საუკუნეების ინფორმაციული და ვიზუალური მასალების (ნატურიდან შესრულებული ეტიუდები, ეთნოგრაფიული ჩანახატები და საილუსტრაციო გრავიურები) მოკვლევას ითვალისწინებს წინამდებარე ნაშრომი. ასეთი მასალების ანალიზი და პუბლიკაცია მნიშვნელოვანი სიახლე იქნება ქართული ჩაცმულობის ისტორიით დაინტერესებული პირებისთვის.

ლიტერატურის მიმოხილვა: ქართული ჩაცმულობის შესწავლისთვის უცხოურ წყაროებში დაცული ცნობების მნიშვნელობაზე დიდმა ქართველმა ისტორიკოსებმა – ივ. ჯავახიშვილმა და ს. ყაუხჩიშვილმა მეცნიერულ დონეზე გაამახვილეს ყურადღება. მას შემდეგ მრავალმა მკვლევარმა მიმართა უცხოურ წყაროებს ქართული სამოსის შესახებ ცნობების ძიებისას. სამეცნიერო ნაშრომებისა და პუბლიკაციების სიმრავლე ადასტურებს, რომ დღესაც არ განელებულა ინტერესი მის მიმართ. ამ მხრივ საინტერესოა უკანასკნელ წლებში გამოცემული წიგნი-კატალოგები, მონოგრაფიები და ენციკლოპედიური ნაშრომები: „ქართული ტრადიციული სამოსი“ (ქართული ტრადიციული სამოსი..., 2013), „ეთნოგრაფიული სურათები XVII-XVIII სს. საქართველოს ისტორიიდან“ (კვანტიძე, 2014) „ქსოვილი საქართველოდან“ (კალანდია..., 2017), „ქართული ეროვნული სამოსის ილუსტრირებული ცნობარი“ (დოლიძე..., 2017), „ქართველთა ჩაცმულობა და ეთნოგრაფიული ტიპაჟები XVI-XIX საუკუნეების ევროპულ ბეჭდურ გამოცემებში“ (სორდია, 2020), „ქართველები და ქართველთა ჩაცმულობა XV- XVII საუკუნეების იტალიელ ავტორთა წყაროებში“ (Ugrekheldze..., 2020); „ქართული კოსტიუმი უცხოურ წერილობით და სახვით წყაროებში“ (უგრეხელიძე..., 2021), „ქართველი ქალის სამოსი ქრისტოფორო დე კასტელის ალბომიდან – მხატვრის ფანტაზია თუ რეალობა“ (უგრეხელიძე..., 2022) და სხვ.

უცხოელთა ჩანაწერების მრავალმხრივი შესწავლის მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობს ისეთი მასალები, რომლებიც უცნობია ქართველი საზოგადოებისთვის და რომლებიც ჯერჯერობით არ განხილულა, როგორც წყარო ქართული სამოსის ისტორიისთვის. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია იმ ევროპულ ავტორთა შთაბეჭდილებები, რომლებმაც XV- XVIII საუკუნეებში სხვადასხვა მიზნით იმოგზაურეს საქართველოს შავიზღვისპირა რეგიონებში და დაგვიტოვეს საინტერესო ნარატიული და ვიზუალური ინფორმაცია ქართველთა ჩაცმულობის შესახებ.

**მეთოდოლოგია:** კვლევა, ძირითადად, ეფუძნება ხელოვნების ისტორიისთვის აპრობირებულ მეთოდებს: მხატვრულ-სტილისტური ანალიზის მეთოდი; ისტორიულ-აღწერითი მეთოდი (საილუსტრაციო მასალების ანალიზისთვის); ისტორიულ-შედარებითი მეთოდი; ისტორიული და ფორმალურ-სტილისტური ანალიზი; ე. წ. „ტრადიციული“ მეთოდი, რომელიც მკვლევრის ინტუიციისა და საკითხის პოზიტიურ ცოდნის სინთეზს წარმოადგენს; პრაქტიკული მეთოდი,

დამყარებული მკვლევრის პირად გამოცდილებაზე; სინთეზის მეთოდი – ანალიზის შედეგების დასკვნების ფორმულირებისთვის.

კვლევითი სამუშაოს ნაწილი, კერძოდ, ოსმალური, ფრანგული, იტალიური, გერმანული და სხვა წყაროები უკვე შესწავლილია და წინამდებარე კვლევა წარმოადგენს ადრე გამოქვეყნებული სტატიების გაგრძელებას, ამდენად, კვლევის მეთოდოლოგია აღწერილია ნაშრომებში: „The Study of Georgian Historical Costumes Based on the 16th-century Ottoman Material Sources“ (Ugrekheldize..., 2021a: 304); „XVII Century French Written and Fine Sources on Georgian Attire“ (Ugrekheldize..., 2021b: 151); „Georgian Men’s Dress of XVII century (According to a Comparative Analysis of the Paintings of the Italian Missionary Cristoforo De Castelli and Georgian Fine Arts’ Sources)“ (Ugrekheldize..., 2021c: 1161); „უცხოურ და ადგილობრივ სახვით წყაროებში დაცული ქართული ისტორიული კოსტიუმის ფორმების შედარებითი ანალიზი“ (უგრეხელიძე..., 2021a: 134); „XVI-XIX საუკუნეების გერმანულ წყაროებში ასახული ქართული ჩაცმულობა“ (უგრეხელიძე..., 2021b).

**დისკუსია (ძირითადი ტექსტი):** ქრონოლოგიურად პირველი წყაროს ავტორი ბავარიელი **ჰანს შილტბერგერია** (1380 – 1427-ის შემდეგ), რომელსაც ზოგჯერ „გერმანელ მარკო პოლოს“ უწოდებდნენ. შილტბერგერი ჯვაროსნულ ომში მონაწილეობდა (რაინდ რაიხარტინგენის საჭურველმტვირთელი იყო), რა დროსაც ტყვედ ჩაუვარდა ოსმალებს, შემდეგ კი – თემურლენგს. თავისი თავგადასავალი მან აღწერა თხზულებაში „**იოჰანეს შილტბერგერის მოგზაურობები მიუნხენიდან ევროპაში, აზიასა და აფრიკაში 1394 წლიდან 1427 წლამდე**“, („Reisen des Johannes Schiltberger aus München in Europa, Asia und Afrika von 1394 bis 1427“) (Schiltberger, 1879). თხრობის თანახმად, თითქმის 30-წლიანი ტყვეობის განმავლობაში, შილტბერგერმა მონახულა შავი ზღვის ყველა ქვეყანა, ეგვიპტე, ბაღდადი და სპარსეთი, ჰერატიდან დელიმდე, სამარყანდი, ციმბირი და კონსტანტინოპოლი. თხრობის თანახმად, ავტორს 1408 წლის შემდგომ პერიოდში საქართველოში (ქართლში, აფხაზეთსა და სამეგრელოში) მოუწია ყოფნა. მიუხედავად იმისა, რომ შილტბერგერის თხრობა რამდენადმე არათანმიმდევრულია (რადგან ჩანაწერები გაკეთებული აქვს არა მოგზაურობის, არამედ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ), მაინც არ არის ინტერესს მოკლებული, რადგან იმერული თავსაბურავის – ფაფანაკის გავრცელების არეალისა და მისი ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში მოხმარების შესახებ მსჯელობის საშუალებას იძლევა. ავტორის სიტყვებით: „არის ქვეყანა, აბკაზ ჰქვია. მის დედაქალაქს ცუხუმ ქვია. არაჯანსაღი მხარეა. ამ მხარეში ქალები და კაცები იხურავენ ოთხკუთხა ბრტყელ ქუდებს და ამას აკეთებენ არაჯანსაღი კლიმატის გამო“. შილტბერგერი აღნიშნავს, აგრეთვე, რომ საქართველოში ამზადებენ აბრეშუმს (მამისთვალიშვილი, 1980:).

1539 წლის გვიან გაზაფხულზე საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში, იმერეთსა და ქართლში იმოგზაურა ვენეციელმა ელჩმა **მიქელე მემბრემ** (1509 – 1594), რომელიც ვენეციის ხელისუფლების მიერ მივლენილი იყო სპარსეთში, შახთამაზის კარზე. ელჩობის ანგარიში **«Relazione di Persia»** მან 1542 წ. წარუდგინა ვენეციის ხელისუფლებას. აღნიშნული რელაციის ხელნაწერი დაცულია ვენეციის სახელმწიფო არქივში<sup>2</sup>. მოგზაურობის ისტორია მემბრეს აღწერილი აქვს წიგნში **„მისია სეფიანთა სპარსეთის შაჰთან (1539-1542)“** („Mission to the Lord Sophy of Persia (1539-1542)“ (Membre, 2014). მემბრე რელაციაში აშუქებს ოსმალეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობებს და აღწერს მეგრელი გლეხისა და თავადის ჩაცმულობას:

*„მეგრელები ძალზე ცუდად არიან ჩაცმულები, ყველას მოკლე ბამბის სამოსი აცვია... თავზე ქეჩის ქუდებს ატარებენ, რომელიც მიტრას წააგავს. მეგრელი ბატონები ძალიან გრძელ ტანსაცმელს ატარებენ, აცვიათ ცხვრის ტყავის ჩექმები, რომელთაც არა აქვთ ლანჩა და ყველა მხრიდან ცხვრის ტყავია<sup>3</sup>; თავზე ახურავთ ფერადი ქეჩა“.*

ავტორი იმერელი აზნაურების სამოსს ასე ახასიათებს: *„ისინი ატარებენ ძალზე უხეში ბამბის ქსოვილის ძალიან გრძელ წინდებს<sup>4</sup>, წინდის ზემოთ ნაჭრის შარვალს, ცხვრის ტყავის ჩექმებს, უხეში ბამბის ქსოვილის დალიანდაგებულ პერანგსა და ძალიან გრძელ ბამბის დოლმანს. თავზე იხურავენ ფერადი ქეჩის ქუდს – ძალზე გრძელი, წაწვეტებული ბოლოთი“.* ავტორი ყურადღებას ამახვილებს საქართველოში აბრეშუმის სიმრავლეზე და ვაჭრობის დროს ქსოვილების სხვა საქონელზე გადაცვლის ტრადიციაზე. ერთგან ავტორი აღნიშნავს, რომ აზნაურებს ჰყავთ *„კარგი ცხენები, საუკეთესო აბრეშუმის გადასაფარებლებით, რომლებშიც ისარი ვერ გააღწევს“*

XVII საუკუნის სამეგრელოს მოსახლეობის სამოსის შესახებ ცნობები რუსულ წყაროებშიც, კერძოდ, 1636 -1640 წლების რუსი ელჩების – ვედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ანგარიშებში მოიპოვება. **ვედოტ ელჩინი** მუხლობრივ აღწერილობაში დაბალი ფენის სიშიშვლის შესახებ წერს: *„ტანსაცმლის ნაკლებობას განიცდიან, ტანშიშველნი და ფეხშიშველნი დადიან, მხოლოდ საჭირო ადგილებს იფარავენ ქსოვილის ნაჭრით ან თხის ტყავით, სხვა მხრივ კი შიშვლები არიან... მათ ქვეყანაში დიდი სიშიშვლეა, მამაკაციც და დედაკაციც შიშვლები დადიან“* (ელჩობათა მასალები 2014:).

<sup>2</sup> [https://de.wikipedia.org/wiki/Michele\\_Membr%C3%A8](https://de.wikipedia.org/wiki/Michele_Membr%C3%A8)

<sup>3</sup> აქ საუბარია უძიროებზე

<sup>4</sup> აქ საუბარია საცვეთებზე, რომლებიც ძველად ორი სახისა იყო. ერთ მათგანს სამუხლე პაკიქს უწოდებდნენ, ჩამცმელს მუხლებს ზემოთ სწვდებოდა და მას იყენებდნენ ზამთარში, მეორეს, უფრო მოკლეს, ახალგაზრდები იცვამდნენ (ქართული მატერიალური კულტურის.., 2013:)

მღვდელ **პავლე ზახარევის** მუხლობრივ აღწერილობაში, ძირითადად, ღვთისმსახურთა სამოსის შესახებ არის საუბარი: „ბედიელ ეპისკოპოსს ჯიბეებანი აღმოსავლური აბრეშუმის კაფტანი ეცვა, კაფტანზე ოქროს ყიზილბაშური ნაქარგია; ეპისკოპოსს სარტყელად ქ. ქაშანში დამზადებული გრძელი ვიწრო აბრეშუმის ქსოვილი ეკრა; კაფტანს ზემოთ ხავერდით გაწყობილი კვერნის ქურქი ეცვა ჯიბეებით, ხელების გასაყრელითა და ზონარიანი შესაკრავით; მეორე ქურქი ცხვრისაა, ორმაგი ხავერდით გაწყობილი... როცა ეკლესიაში მივედით, მიტროპოლიტი წირვისათვის ჩვენი თანდასწრებით იმოსებოდა. სტიქარის სიგრძე წესის მიხედვითაა, მაგრამ საბეჭურის, ვარსკვლავებისა და არშიების გარეშე; ეპიტრაქილი, სამკლავური, სარტყელი და ენქერი წესისამებრ იყო. შესამოსელის ნაცვლად ბისონს იცვამს, ბისონი კი კაფტანის ზედაპირის ქსოვილისაგან ხიშტაკითა და სახელოებითაა შეკერილი; სახელოები და გვერდები გაუკერავია. სახელოებზე და გვერდებზე ღილების ნაცვლად თხუთმეტ-თხუთმეტი ვერცხლის მოოქროვილი პატარა ეფვანია დაკერებული. როცა მიტროპოლიტი ბისონს იცვამს, ბისონის ეფვნებს შეუბნევენ და მასზე ბისონი, როგორც კაფტანი, ისე გამოიყურება... ბისონის სიგრძე ცოტათი მუხლს ქვემოთ სცილდება.“ ზახარევი პატრიარქის სამოსს ასე აღწერს: „პატრიარქს შავი ბარტყულა ეხურა, შავი ატლასის მანტია ეცვა პატარა მარგალიტებზასმული სამხრეებით. თასმები ზედ ოქროსი იყო, ყიზილბაშურად ვერცხლით კიდებმოქარგული. ქვედა კიდები კი მანტიას ოქროსი ჰქონდა, ფესაცმელები ცხვირაპრეხილები ეცვა.“

ქართული საზოგადოებრიობისთვის კარგადაა ცნობილი იტალიელი მისიონერის, თეატინელთა ორდენის ბერის **არქანჯელო ლამბერტის** 1630-1649 წლებში საქართველოში, კერძოდ, ოდიშის სამთავროში მოღვაწეობის შესახებ. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ნეაპოლში, 1653 წ. მან გამოაქვეყნა წიგნი „აღწერა კოლხეთისა, რომელსაც ახლა სამეგრელო ეწოდება“ („Relazione della Colchide hoggi detta Mengrella, nella quale si tratta dell'origine, costumi, e cose naturali di quei paesi“) (Lamberti, 1991:), რომელიც ფაქტიურად, პირველი ვრცელტანიანი თხზულებაა საქართველოს შესახებ. წიგნის ერთი თავი მთლიანად ეთმობა ქართველების ჩაცმულობას. ავტორს დეტალურად აქვს აღწერილი სხვადასხვა წოდების წარმომადგენელთა ჩაცმულობა, თავსაბურავები და ფეხსამოსი: „თავადაზნაურობა საკმაოდ კარგად იცვამს. პერანგს იკერავენ სხვადასხვა ფერის აბრეშუმისაგან. პერანგის ყელსა და ქობას ჰქარგავენ სირმით, ძვირფასის ქვებით და მარგალიტებით. ეს შემკულობა რომ ყველამ ცხადად დაინახოს, პერანგი შარვალს გარეთ აქვთ გადმოფარფაშებული. პერანგზე აცვიათ ახალუხი, რომელიც მუხლებამდინ უწევდებათ. ეს ახალუხი შალის ან აბრეშუმის არის და მოქარგული. პერანგი რომ არ დაფაროს, უფრო მოკლეა პერანგზე. მასზე ყელიდან წელამდე აკერიათ

ნაჭედის ვერცხლის დილები. წელზე არტყიათ სარტყელი..., ახალუხის ზევით, სიცივეში, აცვიათ მეორე ტანისამოსი, კიდევ უფრო მოკლე, კაზაკინის მსგავსი. ეს მეორე ტანისამოსი არის ან უფრო წმინდა შალისა, ან ფარჩისა და ან ხავერდისაგან და სარჩულად აქვს სიასამურის ტყავი.

მდაბიო ხალხის ქუდი ნაბდისაგან არის გაკეთებული და უფრო ჰგავს კოთხოს, ვიდრე ჩვენებურ შაპოს, რადგან კალთები სულ არა აქვს და თავს ძლივს ფარავს. ამ ქუდს სხვადასხვა სახეს აძლევენ. თავად-აზნაურები ამ ქუდს იკერავენ ან წმინდა შალისაგან და ან აბრეშუმისაგან: ზოგიერთები აქარგვინებენ მას, ან ამკობენ თათრულად სიასამურის ტყავით, ან ირანულად აკერვინებენ წაწვეტილებს, როგორც კაპუცინების თავსახურავია და ამკობენ ვერცხლის ფერის ცხვრის ტყავით, რომელიც ირანიდან მოაქვთ“ (ლამბერტი, 1983)

მოგვიანებით, 1657 წელს, ლამბერტიმ გამოსცა მეორე წიგნი „წმინდა კოლხეთი“ (Lamberti, 1657), რომელიც ქართველი მკითხველისთვის ნაკლებად ცნობილი თხზულებაა. მასში გადმოცემულია პაპის კურიის მიერ საქართველოში გამოგზავნილი თეატინელთა მისიონის 1631-1649 წლების მთელი ისტორია. აღნიშნული წიგნიდან საკვლევი თემატიკისთვის საინტერესოა სატიტულო გვერდი – ოდიშელი ახალგაზრდა ქალებისა და ბავშვების ნათლობის სცენის გამოსახულებით (სურ. 1.). სურათზე კარგად ჩანს პერსონაჟების სამოსი.




ნათლობის სცენა ლამბერტის წიგნიდან „წმინდა კოლხეთი“.

XVII საუკუნის ქართველთა ყოფა-ცხოვრების შესწავლისთვის ფასდაუდებელ განძს წარმოადგენს იტალიელი მისიონერის, თეატინელთა ორდენის პატრის

**ქრისტოფორო დე კასტელის** (Cristoforo Castelli), იგივე ტერამო კასტელის (1597-1659) შემოქმედება. მან საქართველოში მოღვაწეობის წლები (1628-1652 წწ.) არა მარტო წერილებსა და მოხსენებებში აღწერა, არამედ საუკუნოდ აღბეჭდა სურათებსა და ჩანახატებში, რომლებიც თვალსაჩინოდ და დოკუმენტურად ავსებენ ნაკლებად ცნობილ მოვლენებს და გვაცნობენ უცნობ პერსონაჟებს. მისი, როგორც თვითმხილველის მიერ შეკრებილი მასალები და ადგილზე შესრულებული ჩანახატები შვიდ სქელტანიან ალბომს შეადგენს და ქ. პალერმოს კომუნალურ წიგნთსაცავშია დაცული. კასტელის ათასამდე სურათი და ჩანახატი, თანდართული კომენტარებითურთ, დღემდე უდიდეს ინტერესს იწვევს, როგორც დოკუმენტური მნიშვნელობის მქონე წყარო, ქვეყანაში მიმდინარე ისტორიული მოვლენებისა და ყოფა-ცხოვრების ამსახველი ნარატიული და ვიზუალური მასალა. ვიზუალური მასალის მნიშვნელობას ზრდის სხვადასხვა ენოვანი (უხშირესად თერთმეტე-ნოვანი) განმარტებითი წარწერები, რომლებიც თითოეულ ნახატს უხვად ახლავს. ეს კომენტარები ძალზე ინფორმაციულია XVII საუკუნის საქართველოს სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა ყოფითი რეალიების, მათ შორის განსაკუთრებით ჩაცმულობის შესწავლისათვის. ავტორს უყურადღებოდ არ რჩება ჩვენი ქვეყნის არც ერთი კუთხე. მის ნაშრომში თანახარი ინტერესითაა გადმოცემული მეფეთავართა თუ სრულიად დაბალი ფენის პორტრეტული გამოსახულებები, მათი ყოფისა და საქმიანობის დამახასიათებელი გარემო (ლხინი, ნათლობა, გლოვა, დაკრძალვა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, სპორტული შეჯიბრებები, ნადირობა და სხვ.), შენობა-ნაგებობათა ნიმუშები, სამისიონერო საქმიანობის სცენები, ფანტასტიკური სიუჟეტები – ყველაფერი საკუთარი თვალით ნანახი და გულით განცდილი. ისტორიული პირების გამოსახვისას, საინტერესო არის ის, რომ ერთ კომპოზიციაში ავტორი სრულად ახერხებს, როგორც პიროვნების გარეგნული იერისა და ხასიათის გადმოცემას, მისი თვისებების აღწერასა და სამოსის დახასიათებას, ისე მისადმი საკუთარი დამოკიდებულების ჩვენებასაც, ასე მაგალითად: იმერეთის მეფის ალექსანდრე მესამის პორტრეტთან მინაწერებში კატელი აღწერს მეფის ჩაცმულობას და ამავდროულად, გარეგნობით აღფრთოვანებასაც არ მალავს (სურ. ): *„საქართველოს მეფეები მოდგმით თვალტანადნი არიან, შესამჩნევად მაღლები... ოქროს ქუდი, ალმასებითა და მარგალიტებით მორთული; ყელის ირგვლივ ოქრო და ძვირფასი ქვები ბეწვმოვლებული ზედა ტანსაცმელიც ოქროს ყვავილებითაა მორთული. ოქროს ფუსკულებიანი წითელი კაბა მსხვილი ოქროს ღილებით. ხმალი და კვერთხი ოქროსი, ესპანურად დაყენებული ქერა ულვაშებით, ტანსაცმელის ქვეშ ლურჯი პერანგი ოქროს ძაფებით. მთლად შიგნით წითელი შეიდიში, მწვანე ფეხსაცმელი... საქართველოს მეფეები ტანად თითქმის დეკაცები (გიგანტები) არიან“* (გიორგაძე, 1946).






ქართველები და მათი სამოსი კასტელის ალბომიდან.

1653 წლით დათარიღებულ წიგნის „მოგზაურობები და დაკვირვებები“ ავტორი – ფრანგი მოგზაური **ფრანსუა დე ლა ბულე-ლე-გუზი** (1623-1669) ბევრს მოგზაურობდა ევროპაში, ოსმალეთში სპარსეთსა და ინდოეთში. მოგზაურობათა შთაბეჭდილებებში ერთი პატარა თავი (გვ. 72-73) დათმობილი აქვს ქართველებს, სადაც ავტორი მოკლედ აღწერს ქართველის გარეგნობას და ჩაცმულობას: „გურჯებს ანუ ქართველებს გრძელი თმა აქვთ წინ, შუბლის მხარეს, მაგრამ იპარსავენ უკან, იხურავენ ბეწვის ქუდს, ისევე როგორც პოლონელები ან თათრები; მათ გრძელი პალტო აცვიათ“ (Boullaye-Le Gouz, 1653).

ქართველი მკითხველისთვის ასევე კარგად ცნობილია ფრანგი მოგზაურის ჟან-ბატისტ შარდენის საინტერესოდ დასურათებული თხზულება „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ (Chardin, 1711).



ქართველები და მათი სამოსი ჟან შარდენის წიგნიდან


განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თხზულების პასაჟები, სადაც შარდენი კოლხი (მეგრელი) მამაკაცის გარეგნობასა და ჩაცმულობაზე საუბრობს და ეს, შესაბამისად, ასახულია მხატვარ გრელოს დასურათებაში, ასე მაგალითად, ავტორი გვიამბობს: „მრგვალად იპარსავენ თავის კორტოხს, დანარჩენი თმები, აგრეთვე, მრგვალად შემოპარსული და ჩამოზრდილი აქვთ თვალებამდე... ისინი ისეთი საწყალობენი და გაჭირვებულები არიან, რომ წვიმის დროს არახჩინს ან ქუდს ჯი-

ბეში იდებენ, რომ არ გაუფუჭდეთ და თავშიშველი დადიან... უმრავლესობა სხეულის დასაფარავად მხოლოდ მდარე ხარისხის ნაბადს ატარებს. ამ ნაბადს, რომელიც ძველებურ ქლამიდას მოგვაგონებს, უყრიან თავს და ატრიალებენ სურვილისამებრ იმ მხარისაკენ, საიდანაც მოდის წვიმა და ქარი, რადგანაც იგი სხეულის მხოლოდ ერთ ნაწილს ფარავს და მხოლოდ მუხლებს სწვდება... ფეხზე ეცვათ სანდლებისმაგვარი სპეციალურად თოვლში სასიარულო ფეხსაცმელები, რომლებიც მე მხოლოდ ამ ქვეყანაში ვნახე. მისი ძირი თავისი ფორმითა და სიგრძით თხილამურსა ჰგავს, თუმცა ისე განიერი არაა. ბადეც უფრო მეჩხერია, ხოლო ხე, რომელსაც ბადე უკეთდება, მრგვალია. ეს ფეხსაცმელი თოვლში არ ეფლობა, მხოლოდ ერთი თითის სიღრმეზე ჩადის. ამ ფეხსაცმლით თოვლზე სწრაფად მოძრაობენ. ტოვებენ მქრქალ და გაურკვეველ კვალს, რადგან ამ ფეხსაცმელს არც თავი აქვს და არც ბოლო.“



ქართველები და მათი სამოსი ჟან შარდენის წიგნიდან.

XVIII საუკუნის დასაწყისიდან ჰოლანდიელმა კარტოგრაფმა და გამომცემელმა პიტერ ვან დერ აამ დაბეჭდა წიგნი „პერეკოპის და ნოღაელი თათრების, ჩერქეზების, მეგრელებისა და ქართველების ადათ-წესები და ჩვეულებები მისიონერთა 1633 წლის ჩანაწერების მიხედვით“ (Luca, 1707), რომელშიც შეტანილია არქანჯელო ლამბერტის 1633 წლის ჩანაწერები სამეგრელოს შესახებ. გამომცემა საინტერესოა წიგნის ილუსტრატორების ჟან და კასპერ ლუიკენების გრავიურებით, რომლებზეც გაცოცხლებულია ლამბერტის მიერ აღწერილი ყოფითი სცენები: „მეგრელთა ლხინი“, „ღვთის სამსჯავრო“ და „დადიანის მიერ ვეზირის დასჯა“. ეს გრავიურები შეტანილ იქნა, ასევე, პიტერ ვან დერ აას მიერ 1729 წელს გამოცემულ „მსოფლიოს ატლასში“ («La Galerie Agreeable du Monde»), რომელშიც აღწერილია მსოფლიოს ხალხთა ზნე-ჩვეულებები, რელიგია და ისტორია.



მეგრელთა ყოფა და სამოსი ვან დერ აას წიგნიდან.

ასევე საინტერესო მასალებს შეიცავს პიტერ ვან დერ აას მიერ 1713 წ. დაბეჭდილი სამეგრელოს ფერადი რუკა „**Mingrelie, autrefois Colchis, Pays baigné au Couchant par la Mer Noire**“ (Nouvel Atlas, 1713), რომელზეც გამოსახულნი არიან მეგრელი და თურქი მამაკაცები. ვან დერ აა იყენებდა იმდროისთვის არსებულ წყაროებს და ბეჭდურ გამოცემებს. მეგრელი მამაკაცის კაბა და თავსაბურავი იმ დროისთვის დიდგვაროვანთა მიერ რეალურად გამოყენებულ სამოსს შეესაბამება, თუმცა მისი დაჩითვის ფერები და დეკორირება ტრადიციულისგან განსხვავებულია.



სამეგრელოს რუკის ფრაგმენტი.

საქართველოს შესახებ ცნობებს შეიცავს იოჰან მიქაელ ფუნკენის (Johann Michael Funcken) სერიული გამოცემის – „**მსოფლიოს აღწერა**“ („**Neueröffnetes Amphitheatrum**“) ერთ-ერთი წიგნი, კერძოდ, 1728 წ. გამოქვეყნებული აზიის ტომი (Funcken, 1728). ავტორი საუბრობს მეგრელთა ჩაცმულობის შესახებ: „მეგრელების ტანსაცმელი ძალიან დაუდევრად გამოიყურება. უბრალო ადამიანებს შორის ქალებსა და მამაკაცებს აქვთ მხოლოდ ერთი პერანგი და წყვილი შარვალი“ აქვე ჩართულია ორი გრაფიურა „ქართველები“ და „მეგრელი ქალი“.



ქართველები და მათი სამოსი ფუნკენის წიგნიდან.

ქართული ტრადიციული სამოსის შესახებ ცნობებსა და ეთნოგრაფიულ ჩანახატებს შეიცავს გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის აკად. იოჰან გიულდენშტედტის ნაშრომი. მკვლევარს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ დავალებული ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიისა და საქართველოს ყოველმხრივი გამოკვლევა-შესწავლა. გიულდენშტედტმა ჩვენს ქვეყანაში დაყო 1771-72 წლებში. მისი გამოკვლევა – „**მოგზაურობა რუსეთსა და კავკასიის მთიანეთში**“ – გამოიცა ორ ტომად (Güldenstädt, 1787). აფხაზეთის, სამეგრელოს, ლეჩხუმის, რაჭის, სვანეთის, ქართლისა და კახეთის დახასიათებისას გიულდენშტედტი აღწერს მოსახლეობის (მირითადად მამაკაცების) სამოსს, მოჰყავს ცნობები ჩაცმულობისა და სხვადასხვა ქსოვილის დამზადების და ყიდვა-გაყიდვის შესახებ. მისი ცნობები მამაკაცის სამოსის შესახებ საკმაოდ განზოგადებულია: „*აცვიათ თეძოებთან ნაოჭებიანი მოკლე ჩოხები, რომლებიც მუხლებამდე კი არ სწვდებათ, წვივებზე შემოხვეული აქვთ სახვევი, წელზე არტყიათ ბრტყელი ქამარი და ა. შ. ისინი ხშირად ამზადებენ ტლანქი მაულის ჩოხებს და მიაქვთ გასაყიდად* (მოგზაურობა საქართველოში, 1962).



ქართველები და მათი სამოსი გიულდენშტედტის წიგნიდან.

დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა ჩაცმულობა დახასიათებული აქვს გერმანელ მოგზაურს, ავანტიურისტსა და დიპლომატს იაკობ რეინეგსს ნაშრომში „კავკასიის საყოველთაო ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერა“ (Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus) (Reineggs 1796). ის 1779-1783 წლებში მეფე ერეკლეს კარზე მოღვაწეობდა. წიგნი გამოიცა 1796 წ. სანკტ-პეტერბურგში. ავტორი ქართველთა ჩაცმულობას ასე აღწერს: „თავის დასაფარად ისინი იყენებენ ელიფსური ფორმის შავი ქსოვილის ან ტყავის ორ ნაჭერს, რომლებიც ერთმანეთთან შეერთებულია და თავს ფარავს ეფარება შუბლის შუა ნაწილიდან კეფამდე და ერთი მხრიდან მეორემდე [ფაფანაკი]; კიდევზე მიკერებული თასმებით ნიკაპქვეშ იკვრება და ამგვარად მაგრდება თავზე. მაგრამ ისინი იყენებენ მას მხოლოდ წვიმაში, სხვა დროს უკან აქვთ ჩამოკიდებული... აცვიათ წითელი აბრეშუმის პერანგი, რომელიც მუხლებამდეა დაშვებული და მკერდის მარცხენა მხარესაა შეხსნილი. აცვიათ სქელი შარვალი, ყოველთვის ატარებენ მოკლე ზედა სამოსს, რომელიც მუხლებს ძლივს ფარავს, აცვიათ პერანგის გარეთ და შეკრულია წელზე ტყავის ქამრით. სახელოს ნაკერი ილლიიდან იდაყვამდე ღიაა, რათა აუცილებლობის შემთხვევაში ხელი თავისუფალი იყოს. შარვლის ნაცვლად ბევრს

ასევე აცვია გრძელი ქსოვილის წინდები, რომლებიც ბარძაყის შუა ნაწილამდე აღწევს და მუხლის ქვევით არის დამაგრებული ნაჭრით. ფეხზე აცვიათ ჭვინტია-ნი წითელი ტყავის უძიროები ან ამოსხმული ტყავის ნაჭერი... მსგავსად აცვიათ ქალებსაც, იმ განსხვავებით, რომ გაუთხოვარი ქალი თავშიშველას, გათხოვილებს კი წითელი ტილო ისე აქვთ მობურული, რომ მხოლოდ თვალებიღა მოუჩანთ. მათი გარე სამოსი ძირითადად წითელი ტილოს კაბაა, წინ ღილებით შეკრული, ზამთარში კი უხეში საბურველი აქვთ შემოხვეული (რაინფესი, 2002).

ქართველების ყოფით ეტიუდსა და მათი ჩაცმულობის აღწერას შეიცავს ფრანგი დიპლომატისა და მხატვრის **ჟაკ გრასე დე სენ-სოვერის** წიგნი „ევროპის, აზიის, აფრიკის, ამერიკის ხალხთა სურათები“ (Tableaux des principaux peuples de l'Europe, de l'Asie, de l'Afrique, de l'Amérique) (Saint-Sauveur, 1797). ქართველთა ჩაცმულობის შესახებ ის წერს: „მამაკაცებს თათრებივით აცვიათ; გრძელი ზედა სამოსი, მოკლე სახელოებით; შიგნით გრძელი, ყვავილოვნად დაჩითული ქურთუკი, გარშემორტყმული ქამრით, რომელზეც ხმალი კიდია. ფართო შარვალი და დაბალყელიანი ჩექმები. ყველა ტანსაცმლის ნაპირზე მოყოლებულია ბეწვი. ქუდ-კონუსსაც შემოსდევს სქელი ბეწვი... რაც შეეხება ქალის ჩაცმულობას, ეს თავად გრაციათა სამოსია. თავისუფალი, გრძელი კაბა ვერ მალავს მათ მოქნილ, ლერწამივით წელს და მაცდუნებელ ფორმებს. პატარა ქამარი მკერდის ქვემოთ უკეთიათ, რომლის თვალწარმტაცი კონტურები მსუბუქი ქსოვილის მიღმაც ადვილად შესაცნობია. მარგალიტებით შემკული ერთგვარი შარფი მოსხმული მარჯვენა მხარზე, მარცხენა მკლავის ქვეშაა ამოტარებული. მათი თავსაბურავი მხოლოდ ფატაა, რომელიც მოხდენილად ნარნარებს და საუცხოო თმებს აფრიალების საშუალებას აძლევს.“

როგორც ვხედავთ, საქართველოს შავიზღვისპირა რეგიონში მოგზაურობის ჩანაწერებში, მკვლევართა ანგარიშებში, ეთნოგრაფიულ ჩანახატებსა და გრავირებში მრავლადაა ისეთი მასალა, რომელიც მნიშვნელოვან და საჭირო ინფორმაციას შეიცავს ქართული კოსტიუმის ევოლუციის პროცესის დადგენისთვის. ამ მასალებს, ნივთიერი ძეგლების არარსებობის პირობებში, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს დროის მოცემული მონაკვეთის (XV- XVIII საუკუნეების) კოსტიუმის ფორმისა და სილუეტის დაზუსტებისთვის. აღნიშნული, რასაკვირველია, ამ მიმართულებით შემდგომი მუშაობის საჭიროებასაც გულისხმობს.





ქართველები და მათი სამოსი ჟაკ გრასე დე სენ-სოვერის წიგნიდან.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ელჩობათა მასალები 2014: – ფედოტ ელჩინის მუხლობრივი აღწერილობა. გაბრიელ გეგენავას, ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები 1636-1640 წლები, თარგმანი ვლ. ჩხიკვაძისა, რედაქტორი ჯ. გამახარია, თბილისი 2014, გვ. 310.
2. გიორგაძე, 1946: – გიორგაძე, ბ., დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. თბილისი: „მეცნიერება“. 1946.
3. კალანდია., 2017: – კალანდია გ., საგანელიძე ი., ზამბახიძე ი., 2017. ქსოვილი საქართველოდან. თბილისი: გამომცემლობა „ფავორიტი“. 2017.
4. კვანტიძე, 2014: – ეთნოგრაფიული სურათები XVII-XVIII სს. საქართველოს ისტორიიდან (ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევა). სადოქტორო thesis, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
5. ლამბერტი, 1983 – არქანჯელო ლამბერტი სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი, 1983.
6. მამისთვალიშვილი, 1980: – ელდარ მამისთვალიშვილი საქართველო ჰანს შილტბერგერის „მოგზაურობის წიგნში“ მაცნე 1980, N2, თბილისი: მეცნიერება 1980.

7. მოგზაურობა საქართველოში, 1962: – იოჰან გიულდენშტედტი - "მოგზაურობა საქართველოში" - გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა - ტომი I - უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ - წიგნი IX - თბილისი - 1962.
8. რაინეგსი, 2002: – იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 108.
9. სორდია, 2020: – ქართველთა ჩაცმულობა და ეთნოგრაფიული ტიპაჟები XVI-XIX საუკუნეების ევროპულ ბეჭდურ გამოცემებში, s.l.: ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის ცენტრი. 2020.
10. უგრეხელიძე., 2021: – ქართული კოსტიუმი უცხოურ წერილობით და სახვით წყაროებში /Georgian Costume in Foreign Written and Fine Arts Sources : ქუთაისი, 2021.
11. უგრეხელიძე., 2022: – უგრეხელიძე ი., ქარციძე ნ. ქართველი ქალის სამოსი ქრისტოფორო დე კასტელის ალბომიდან – მხატვრის ფანტაზია თუ რეალობა მაცნე. 2022.
12. უგრეხელიძე..., 2021a: უგრეხელიძე ი., ქარციძე ნ., ჩუბინიძე ე. უცხოურ და ადგილობრივ სახვით წყაროებში დაცული ქართული ისტორიული კოსტიუმის ფორმების შედარებითი ანალიზი V საერთაშორისო კონფერენციის „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“ მასალები. ხელოვნების უნივერსიტეტის გამომცემლობა 2021, გვ.134-143.
13. უგრეხელიძე., 2021b: – უგრეხელიძე ი., ქარციძე ნ., ჩუბინიძე ე. XVI-XIX საუკუნეების გერმანულ წყაროებში ასახული ქართული ჩაცმულობა საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია „მუზეუმი და გლობალიზაცია“ ბათუმი, 2021.
14. ქართული ტრადიციული სამოსი., 2013 – ქართული ტრადიციული სამოსი: XVIII-XX საუკუნეები /Traditional georgian attire : 18th-20th centuries : [კატალოგი] / ავტორ-შემდგენლები: იზოლდა მელიქიშვილი, ელდარ ნადირაძე, ლუარსაბ ტოგონიძე. გამომცემლობა სეზანი, თბილისი, 2013.
15. ქართული მატერიალური კულტურის., 2013: – „ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი“, რედაქტორი მეტრეველი როინ, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2013.
16. Boullaye-Le Gouz, 1653 – La Boullaye-Le Gouz, François de, Les voyages et observations, Paris, 1653.
17. Chardin, 1711: – Chardin, Jean. Journal du voiage du Chevalier Chardin en Perse et aux Indes orientales la Mer Noire et par la Colchide Tome 1. Amsterdam: Chez Jean Louis de Lorme. 1711.
18. Dolidze., 2017: – Dolidze, N., Datuashvili, M., Ugrexidze, I., Charkviani, I., Chirgadze, K., Lursamanashvili, L., & Kvantidze, G. Illustrated Reference Book of Georgian National Clothing. ATSU Press. Kutaisi, 2017. Pp. 23, 47-49, ISBN 978-9941-455-24.

19. Funcken, 1728 : – Johann Michael Funcken Neueröffnetes Amphitheatrum worinnen aus dem südlichen Asia die meißten Nationen etc. repräsentiret (etc.); Gedruckt und verlegt von Johann Michael Funcken Erfurth, 1728.
20. Güldenstädt, 1787: – Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge, T. 1, 1Sankt Petersburg
21. Lamberti, 1653: – Arcangelo Lamberti, Relatione della Colchide hoggi detta Mengrella, nella quale si tratta dell'origine, costumi, e cose naturali di quei paesi, appresso Camillo Caualli, 1653.
22. Lamberti 1657: – Arcangelo Lamberti Colchide sacra ;Negli Eredi di Camillo Cavallo, 1657.
23. Luca, 1707 : – Luca, G. Battista de, Beauplet, B., Lamberti, A., & Thevenot, J. de. (1707). De landschappen der Percoptize en Nogaize Tarters, Circassen, Mingrelianen en Georgianen, beneffens die van de Crim, bereist; en derzelve inwoonderen, aart en levenswys beschreeven, in 't jaar 1633. Te Leyden: by Pieter vander Aa, boekverkooper.
24. Membère, 2014: Membère, M., 2014. *Mission to the Lord Sophy of Persia (1539-1542)*. s.l.:s.n. 2014.
25. Nouvel Atlas, 1713 : – Nouvel Atlas, très exact et fort commode pour toutes sortes de personnes, Contenant Les Principales cartes géographiques. Leiden, P. Van der Aa, n.d. (1713).
26. Reineggs 1796: – Reineggs, J. Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus, 1. bei Gerstenberg und Dittmar, 1796.
27. Saint-Sauveur, 1797: – Grasset de Saint-Sauveur, Jacques Tableaux des principaux peuples de l'Europe, de l'Asie, de l'Afrique, de l'Amérique, Paris : 1797
28. Schiltberger, 1879: – Schiltberger, Johannes, 1380 Or. *The bondage and travels of Johann Schiltberger: a native of Bavaria, in Europe, Asia, and Africa, -1427*. London: Printed for the Hakluyt Society, 1879. Pdf. Retrieved from the Library of Congress, [www.loc.gov/item/05040446/](http://www.loc.gov/item/05040446/)
29. Ugrekhelidze..., 2020: – Ugrekhelidze, I., Kartsidze, N., & Chubinidze, E. Georgians and their Manner of Dress in the Resources of XV-XVII Century Italian Authors. *Theoretical & Applied Science*, 12, 2020, p. 118-124.
30. Ugrekhelidze..., 2021a: – Ugrekhelidze I., Kartsidze N., Chubinidze E. The Study of Georgian Historical Costumes Based on the 16th-Century Ottoman Material Sources //History, Archaeology, Ethnology. – 2021. – №. V. – C. 304-313.
31. Ugrekhelidze..., 2021b: – 36. Ugrekhelidze, I., Kartsidze, N., Chubinidze, E. XVII Century French Written and Fine Sources on Georgian Attire// Fundamental and applied research in the modern world. Proceedings of the 10th International scientific and practical conference. BoScience Publisher. Boston, USA. 2021. Pp. 151-162.
32. Ugrekhelidze..., 2021c: – Ugrekhelidze I. Georgian men's dress of XVII century: According to a comparative analysis of the paintings of the Italian missionary Cristoforo de Castelli and Georgian fine arts' sources //Linguistics and Culture Review. – 2021. – T. 5. – №. S4. – C. 1161-1175..